რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტი

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პაკეტი

არატექნიკური რეზიუმე

პროექტის განმახორციელებელი:

სს „ვინდ ფაუერი“

საკონსულტაციო კომპანია:

შპს „დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგი“

WEG ENVI CONSULTING

იანვარი, 2024

სარჩევი

1 შესავალი ... 5
1.1 პროექტის აღწერა ... 5
1.2 არატექნიკური რეზიუმეს მომზადების მიზნები და ფარგლები ... 6
2 პროექტის მიმოხილვა ... 7
2.1 პროექტის მიზანი და მისი განხორციელებით მიღებული სარგებელი ... 7
2.2 პროექტის განხორციელების ადგილი ... 8
2.3 პროექტის აღწერა ... 8
2.3.1 საპროექტო შენობა-ნაგებობები ... 8
2.3.2 განლაგების სქემა ... 12
2.3.3 მშენებლობა და ექსპლუატაციაში გაშვება ... 14
2.4 ექსპლუატაციის ეტაპი ... 15
3 არსებული გარემოსდაცვითი და სოციალური პირობები და მოსალოდნელი ზემოქმედება ... 15
3.1 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორია და სენსიტიური რეცეპტორები ... 15
3.1.1 სოციალური და კულტურული მემკვიდრეობის (CH) რეცეპტორები ... 16
3.1.2 სენსიტიური ეკოლოგიური რეცეპტორები და სპეციალური შეზღუდვის ზონები ... 16
3.2 სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება ... 17
3.2.1 ფიზიკური და ეკონომიკური განსახლება ... 17
3.2.2 საზოგადოების ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და დაცულობა ... 20
3.2.3 ლანდშაფტი და ვიზუალური ზემოქმედება ... 25
3.2.4 სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სხვა სახეები ... 26
3.3 ბუნებრივ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება ... 27
3.3.1 ატმოსფერული ჰაერის ხარისხი ... 27
3.3.2 წყლის რესურსები ... 28
3.3.3 ბიომრავალფეროვნება ... 29
4 გარემოსდაცვითი და სოციალური მართვა ... 38
5 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (SEP) ... 39
6 საჩივრების განხილვის მექანიზმი ... 41
7 ბსგზშ-ის გასაჯაროება და საკონტაქტო ინფორმაცია ... 42
7.1 EBRD-ის ბსგზშ-ის პაკეტისა და საჯარო კონსულტაციების გასაჯაროება ... 42
7.2 გამჟღავნებული გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტები ... 43
7.3 გასაჯაროების პროცესი ... 44

ცხრილები

ცხრილი 1-1 საკონტაქტო ინფორმაცია ... 6
ცხრილი 6-1 საჩივრების განხილვის პროცესი და ვადები ... 42

სურათები

სურათი 2-1 რუისის ქარის ელექტროსადგურის მდებარეობა საქართველოს პოლიტიკურ რუკაზე ... 9
სურათი 2-2 ტექნოლოგიური სქემა: ქარის ელექტროსადგურის შემადგენელი შენობა-ნაგებობები . 10
სურათი 2-3 ქარის ტურბინა ... 11
სურათი 2-4 განლაგების სქემა ... 13
სურათი 3-1 მიწათსარგებლობის რუკა ... 18

სურათი 3-2	ხმაურის მოდელირების სქემების ნიმუში: ხმაურის გავრცელება სოფ. რუისის მიდამოებში - ტურბინის სიმაღლე შეადგენს 150 მ-ს.	22
სურათი 3-3	ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული დაცული ტერიტორიები და რუისის ქარის ელექტროსადგურის საპროექტო ტერიტორია	30
სურათი 3-4	რუისის ქარის ელექტროსადგურის მიმდებარედ არსებული ზურმუხტის ქსელის უბნები და ფრინველთა მნიშვნელოვანი ტერიტორიები	30

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა

აბრევიაცია	მნიშვნელობა
Ahs	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობები
CESMP	მშენებლობის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა
CH	კულტურული მემკვიდრეობა
CHA	ჰაბიტატის კრიტიკულობის შეფასება
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EHS	გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვა
გზშ	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EPC	პროექტირება, შესყიდვები და მშენებლობა
ბსგზშ	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ESMS	გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
MEPA	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
NTS	არატექნიკური რეზიუმე
ეგხ	საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი
O&M	ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება
PAP	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები
PIC	საზოგადოებრივი საინფორმაციო ცენტრი
PR	შესრულების მოთხოვნა
PS	შესრულების სტანდარტი
SEP	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

1 შესავალი

1.1 პროექტის აღწერა

ეს დოკუმენტი წარმოადგენს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ბსგზშ) ანგარიშის არატექნიკურ რეზიუმეს 206 მეგავატი სიმძლავრის რუისის ქარის ელექტროსადგურის (რუისი ქეს) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტისთვის შიდა ქართლის ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. პროექტის განხორციელება დაგეგმილი აქვს სს „ვინდ ფაუერს“.

სს „ვინდ ფაუერი“ წარმოადგენს კომპანიას, რომელსაც მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს ქვეყანაში განახლებადი ენერგიის სექტორის განვითარებაში. სს „ვინდ ფაუერი“ ახორციელებს რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტს შერჩეულ ტერიტორიაზე საქართველოს მთავრობასთან 2021 წლის 10 აგვისტოს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე. ქარის რეჟიმის წინასწარი შეფასების მიხედვით, რუისის ქარის ელექტროსადგურის მდებარეობა ხელსაყრელია 46 ერთეული ქარის ტურბოგენერატორის მონტაჟისთვის, რომელთა საერთო დადგმული სიმძლავრეა 206 მგვტ.

პროექტის მიხედვით, რუისის ქარის ელექტროსადგურის ჯამური სიმძლავრე იქნება 206 მეგავატი; თითოეული ტურბინის დადგმული სიმძლავრე საშუალოდ შეადგენს 4.5 მგვტ-ს. ტურბინების განსათავსებლად შერჩეული არის 46 უბანი. გარემოზე ზემოქმედება შეფასებული იქნება ყველაზე უარესი სცენარისათვის, რაც გულისხმობს 46 ტურბინის მონტაჟს, რომელთა დადგმული სიმძლავრე არის 4.5 მგვტ. სინამდვილეში, ზემოქმედება იქნება ნაკლები, რადგან ტენდერის პროცესში შეირჩევა ქარის ტურბინების რეალური კონკრეტული მოდელები საუკეთესო შეთავაზების საფუძველზე. ნებადართული 206 მგვტ-ის უზრუნველსაყოფად, რუისის ქეს-ის საბოლოო კონფიგურაციაში ჩართული იქნება რამდენიმე 4.5 მგვტ-ზე ნაკლები სიმძლავრის ტურბინა-გენერატორები ან მათი რაოდენობა იქნება 46-ზე ნაკლები. როგორც ტურბინა-გენერატორის სიმძლავრის შემცირება, ასევე მათი საერთო რაოდენობის შემცირება იწვევს ზემოქმედების ინტენსივობის შემცირებას. შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასება გაკეთებული არის მაქსიმალურად უარესი სცენარისათვის (სამშენებლო უბნები; ხმაურის და ციმციმის მოდელირება; ზემოქმედება ჰაბიტატებზე და ნიადაგზე და ა.შ.), რომლის განხორციელებისას ზემოქმედება გარემოზე აპრიორი აღემატება იმ ზემოქმედებას, რაც პროექტს რეალურად ექნება. ყველაზე უარესი სცენარისთვის გაკეთდა შემდეგი დაშვებები:

- ტურბინების რაოდენობა - 46
- ტურბინების სიმაღლე - 150 მ
- როტორის დიამეტრი – 163 მ
- ტურბინის კონკრეტული მოდელის განსაზღვრამდე - 4.5 მგვტ სიმძლავრის ქარის ტურბინა-გენერატორის (WTG) პლატფორმა

წინამდებარე არატექნიკური რეზიუმე წარმოადგენს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პაკეტის შემადგენელ ნაწილს და მომზადებულია EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის (2019) და საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის საფუძველზე.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მომზადებულია შპს „დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგის“ მიერ, სს „ვინდ ფაუერი“-ს დაკვეთით.

ცხრილი 1-1 საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია	სს „ვინდ ფაუერი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ზურაბ ავალიშვილის ქ, 12, 0179, თბილისი, საქართველო.
კომპანიის ფაქტიური მისამართი	ზურაბ ავალიშვილის ქ, 12, 0179, თბილისი, საქართველო.
დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქარელის მუნიციპალიტეტი. შემდეგი სოფლების მიმდებარედ: რუისი, ურბნისი, საღოლაშენი, ბრეთი, საქაშეთი და სასირეთი.
დაგეგმილი საქმიანობის სახე	რუისის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია
სს „ვინდ ფაუერის“ საკონტაქტო მონაცემები:	
საიდენტიფიკაციო კოდი	402013904
ელექტრონული ფოსტა	zbakuradze@peri.ge
საკონტაქტო პირი	ზაზა ბაკურაძე
საკონტაქტო ტელეფონი	(+995 599) 252042
საკონსულტაციო კომპანია:	შპს „დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგი“
შპს „დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგი“-ს დირექტორი	მ. ქიმერიძე
საკონტაქტო ტელეფონი	მობილ: (+995 599) 154 656; ტელ: (+995 32) 2 388 358;

1.2 არატექნიკური რეზიუმეს მომზადების მიზნები და ფარგლები

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტის (შემდგომში - "პროექტი") არატექნიკურ რეზიუმეს. EBRD-ის 2019 წლის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის (ESP) მოთხოვნების შესაბამისად შემუშავდა დოკუმენტაციის პაკეტი - ე.წ. "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების გასაჯაროების პაკეტი". აღნიშნული დოკუმენტაციის პაკეტი გასაჯაროებული და ხელმისაწვდომია პროექტის დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოებისთვის და მოიცავს შემდგომს:

- ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელიც მოიცავს პროექტის აღწერას, პროექტის განხორციელების შედეგად ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებასა და შემოთავაზებულ შემარბილებელ ღონისძიებებს;
- გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა (ESAP), რომელიც მოიცავს EBRD-ის შესრულების მოთხოვნებთან (2019), საქართველოს მარეგულირებელ მოთხოვნებთან და

საერთაშორისო კარგ პრაქტიკასთან პროექტის შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გასატარებელ ღონისძიებებს;

- არატექნიკური რეზიუმე (NTS), რომელიც წარმოადგენს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის რეზიუმეს.
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა (SEP), რომელიც აღწერს დაინტერესებული მხარეების პროექტში ჩართვის გზებს, ვადებსა და მეთოდებს, ასევე გასასაჯაროვებელ ინფორმაციას, გასაჯაროების ენასა (ენებს) და დაინტერესებული მხარეებისგან მოთხოვნილი ინფორმაციის ტიპს;
- მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა (LALRF), რომელიც მოიცავს პროექტის მიზნებისთვის საჭირო მიწის შესყიდვის პროცესის შედეგად ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების, შინამეურნეობებისა და თემების კომპენსაციის მიზნით შესასრულებელ მთელ რიგ ვალდებულებებს, პროცედურებსა და ღონისძიებებს.

ბსგზშ-ის ანგარიში მოიცავს პროექტის შესახებ დეტალურ ინფორმაციას და გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებს. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პაკეტი მოიცავს სხვადასხვა დანართებსა და კვლევებს, რომლებიც წარმოადგენენ ბსგზშ-ის ანგარიშის მომზადების საფუძველს. წინამდებარე არატექნიკური რეზიუმე წარმოადგენს ბსგზშ-ის ანგარიშში გაკეთებული დასკვნების მოკლე შეჯამებას.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, პროექტის შესახებ ინფორმაციის ფართო საზოგადოებისთვის მიწოდება მარტივი, არატექნიკური, მათთვის ადვილად გასაგები ენით. არატექნიკურ რეზიუმეში მოცემულია პროექტის მოკლე აღწერა და ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მოსალოდნელი პოტენციური ზემოქმედებების შეჯამება, ასევე აღნიშნული ზემოქმედებების თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებები.

2 პროექტის მიმოხილვა

2.1 პროექტის მიზანი და მისი განხორციელებით მიღებული სარგებელი

წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს საქართველოს შიდა ქართლის რეგიონის ქარელის და გორის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე 206 მგვტ სიმძლავრის რუისის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

რუისის ქარის ელექტროსადგურის აშენების შედეგად მოსალოდნელია შემდეგი სახის სარგებელი:

- ადგილობრივი ელექტროენერგიის წარმოების გაზრდა და ელექტროენერგიის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება; ენერგოუსაფრთხოების და ენერგო-დამოუკიდებლობის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა.
- საქართველოს ენერგოუზრუნველყოფის სისტემის განვითარება, ელექტრომომარაგების საიმედოობის გაზრდა.
- ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარება, ენერგეტიკული წყაროების დივერსიფიკაცია.

- CO_2 ემისიის შემცირება.
- პროექტს ექნება მნიშვნელოვანი და მუდმივი წვლილი ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში (ქონების გადასახადი).
- მშენებლობის დროს დასაქმების შესაძლებლობები: ადგილობრივი მოსახლეობის და კონტრაქტორების მონაწილეობა ქარის ელექტროსადგურის მშენებლობაში.
- ქარის ელექტროსადგურის ექსპლუატაციის დროს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება.

2.2 პროექტის განხორციელების ადგილი

რუისის ქეს-ის პროექტის ტერიტორია განლაგებულია ქარელის რაიონში, შიდა ქართლის რეგიონში, რომელიც მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში შიდა ქართლის ველზე, თბილისიდან დასავლეთით 100 კმ მანძილზე. საპროექტო ტერიტორიის ფართობი შეადგენს დაახლოებით 13000 ჰექტარს და განთავსებულია 45 კმ-ზე მეტი პერიმეტრის შიგნით, სოფლებს რუისი-ბებნისი-საღოლაშენი-ბრეთი-ძლევიჯვარი-საქაშეთი-არაშენდას შორის.

2.3 პროექტის აღწერა

2.3.1 საპროექტო შენობა-ნაგებობები

პროექტი ითვალისწინებს შემოთავაზებულ ტერიტორიაზე 46 ტურბინა-გენერატორის გარკვეული განლაგებით განთავსებას ისე, რომ მაქსიმალურად ეფექტურად მოხდეს გაბატონებული ქარის ენერგიის ათვისება.

ძირითადი შენობა-ნაგებობები მოიცავს შემდეგს:

- 46 ქარის ტურბინა-გენერატორი;
- ქვესადგური, რომელიც ტურბინების მიერ გამომუშავებულ სიმძლავრეს გარდაქმნის ელექტროგადამცემ ქსელთან მიერთებისთვის საჭირო ძაბვად;
- ქარის ტურბინა-გენერატორების ქვესადგურთან დამაკავშირებელი მიწისქვეშა კაბელების ქსელი;
- შიდა მისასვლელი გზები;
- ელექტროგადამცემ ქსელთან დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზი.

ქარის ტურბინა წარმოადგენს ქარის ელექტროსადგურის ძირითად სპეციფიკურ კომპონენტს.



სურათი 2-1 რუსის ქარის ელექტროსადგურის მდებარეობა საქართველოს პოლიტიკურ რუკაზე

ტიპიური ტურბინის ძირითადი შემადგენელი ელემენტებია კოშკი და გონდოლა, რომელიც ასევე მოიცავს როტორსა და საზომ მოწყობილობას. როტორი შედგება ფრთებისგან და ღერძებისგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია საკისრებით. როტორის ფრთებს ატრიალებს ქარი და შექმნილი ბრუნვის ძალა გადაეცემა საკისარს, რომელიც დაკავშირებულია მულტიპლიკატორთან, რომელიც ზრდის ღერძის სიჩქარეს. მულტიპლიკატორიდან მექანიკური ენერგია გადაეცემა გენერატორს, რომელიც მას ელექტროენერგიად გარდაქმნის შემდგომში ელექტროგადამცემ ქსელზე გადასაცემად.



სურათი 2-2 ტექნოლოგიური სქემა: ქარის ელექტროსადგურის შემადგენელი შენობა-ნაგებობები

ტურბინების ზუსტი მოდელები ამ ეტაპზე არ არის ცნობილი. თუმცა, განსაზღვრულია მათი გეომეტრიული პარამეტრები:

- ტურბინების სიმაღლე – 150 მ
- როტორის დიამეტრი – 163 მ

სამშენებლო სამუშაოების პროცესში მოეწყობა შემდეგი დამხმარე ობიექტები:

- სამონტაჟო მოედნები
- შემოსაზღვრული ტერიტორია და სასაწყობო მოედანი
- სამშენებლო ბანაკი

სურათი 2-3 ქარის ტურბინა

რუისის ქვესადგური წარმოადგენს ქარის ელექტროსადგურის, შიდა ელექტროგადამცემი ხაზების კვანძისა და ობიექტის მართვისა და კომუნიკაციის ცენტრის შემაერთებელ წერტილს. ქვესადგურის ადგილმდებარეობა მოითხოვს ქვესადგური „ხაშური 220“-ისა და ქვესადგური „გორი 220“-ის დამაკავშირებელი 220 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის არსებული ტრასის მოდიფიკაციას. ხაზი ჩაიჭრება და მიმართული იქნება ჩრდილოეთის მიმართულებით ქვესადგურისკენ 2.1 კმ მანძილზე, რათა გაიაროს ამ ქვესადგურის 220 კვ სექციის უჯრედში. მაშასადამე, რუისის

ქვესადგურის ნაწილი (220 კვ სექციის უჯრედი) იმუშავებს, როგორც საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ტექნოლოგიური ნაწილი და ამავე დროს იქნება ქარის ელექტროსადგურის ელექტროქსელთან მიერთების ადგილი.

2.3.2 განლაგების სქემა

პროექტის განლაგების სქემა ნაჩვენებია სურათი 2-4-ზე. საპროექტო ტერიტორია ნაწილობრივ განლაგებულია რუისის ჩრდილოეთით მდებარე ქედზე სიმაღლით ზღვის დონიდან 657 მ-დან 845 მ-მდე. ამ უბანზე არის ქარის საუკეთესო რესურსი რელიეფის სპეციფიური ჰიფსომეტრიის და ამაღლებული მდებარეობის გამო. პროექტის სხვა კლასტერები განლაგებულია სასოფლო-სამეურნეო მიწებზე სოფლების ძლევიჯვრის და საქაშეთის გარშემო. რუისის ჩრდილოეთით ქედზე განლაგებული უბანი შედგება კონგლომერატებისგან, ქვიშაქვებისგან, მერგელებისა და თიხებისგან. ეს ქანები საიმედო საფუძველს ქმნის ყველანაირი სახის ნაგებობისთვის და მათი ფრაგმენტები შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც სამშენებლო მასალა ნაგებობების/კონსტრუქციების საფუძვლის მოსაწყობად. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ პროექტის საზღვრებში შეიძლება შეგვხვდეს აგრეთვე ფიზიკური და ბიოლოგიური გამოფიტვის გეოლოგიური პროცესების გავლენის ქვეშ მყოფი ტერიტორიები და არასტაბილური მეწყრული უბნები. ნიადაგის ზედა ფენის საშუალო სისქე შეადგენს დაახლოებით 30-50 სმ-ს. სოფელ საქაშეთის დასავლეთით მდებარე პროექტის ტერიტორიის ჩრდილოეთი ნაწილი წარმოადგენს ნოყიერი ნიადაგის მქონე მცირე სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებს და დაფარულია ვენახებით და ბაღებით. სოფელ ძლევიჯვრის უბანი ამაღლებულია და დაკავებულია მარცვლეულის ნათესებით.

ქარის ელექტროსადგურის ნომინალური სრული სიმძლავრის გათვალისწინებით ის ბუნებრივად დაიკავებს დიდ ტერიტორიას, რომლის პერიმეტრში მოექცევა მთელი სოფლები. ქარის ელექტროსადგური გადმოჰყურებს ახლომდებარე E60 გზატკეცილს, თავისი მასშტაბისა და ამაღლებული განლაგების გამო. თუმცა, ქარის ტურბინების მიკროგანლაგებისას ფართოდ იქნება გამოყენებული რელიეფის თავისებურებები, რაც დატოვებს დიდ მანძილებს ქარის ტურბინებს შორის და მოახდენს ტურბინების ჯგუფების განაწილებას სივრცეში კლასტერების სახით.

საზოგადოდ, საპროექტო ტერიტორია თითქმის თავისუფალია რაიმე სახის დიდი ზომის მცენარეებისგან. ფიჭვის ხელოვნური ტყის ზოლი მდებარეობს ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, E60 გზატკეცილის გვერდით. ტერიტორია ძირითადად შედგება დიდი ზომის საძოვრების და მინდვრების თავისუფალი სივრცეებისგან, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილია მინდვრების შემოღობვით, არხებით და გრუნტის გზებით. საპროექტო ტერიტორიას გააჩნია შემზღუდავი პირობები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ქარის ტურბინების განლაგებაზე. ძირითადად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული უბნები სოფლების რუისის, ბრეთის, ძლევიჯვრის და საქაშეთის მახლობლად ხმაურის გავრცელების და ჩრდილების ციმციმის თვალსაზრისით.

სულ არსებობს უშუალოდ E60 გზატკეცილიდან ტერიტორიაზე შესვლის ოთხი წერტილი.



სურათი 2-4 განლაგების სქემა

2.3.3 მშენებლობა და ექსპლუატაციაში გაშვება

მშენებლობა და ექსპლუატაციაში გაშვება წარმოადგენს EPC-ს (პროექტირება, შესყიდვები და მშენებლობა) შემსრულებელი კონტრაქტორის პასუხისმგებლობას.

დიდი ზომის ქარის ტურბინების მოსაწყობად იყენებენ წინასწარი მონტაჟის მეთოდს, რომელიც ითვალისწინებს კომპონენტების გადმოტვირთვას და კოშკის ქვედა ნაწილების შედარებით მცირე ზომის ამწის გამოყენებით აწყობას, რაც უზრუნველყოფს ძირითადი ამწის მუშაობის დროის ოპტიმიზაციას და შესაბამისი ხარჯების შემცირებას.

ტურბინის საძირკვლის ბალიში წარმოადგენს ქარის ტურბინის საძირკვლის მოსაწყობად წინასწარ გამზადებულ ადგილს, რომელიც უზრუნველყოფს საძირკვლის მდგრადობას, უძლებს ქარის ტურბინის კოშკის წონასა და ამარტივებს მონტაჟის პროცესს. სამონტაჟო მოედანი და ტურბინის საძირკვლის ბალიში წარმოადგენს ორ სხვადასხვა ტერიტორიას ქარის ელექტროსადგურის პროექტის ფარგლებში. სამონტაჟო მოედანი არის დროებითი სამუშაო სივრცე, სადაც ხდება ტურბინის კომპონენტების აწყობა მათ საბოლოო დამონტაჟებამდე, ხოლო ტურბინის საძირკვლის ბალიში წარმოადგენს უშუალოდ იმ ადგილს, სადაც შენდება საძირკველი.

ასამბლეის ეზო და ტურბინის საძირკველი არის ორი ცალკეული ტერიტორია ქარის ელექტროსადგურის პროექტის ფარგლებში.

მშენებლობის პროცესში, სამონტაჟო მოედანზე ტურბინის კომპონენტების აწყობის შემდეგ, ძირითადი ამწე, რომელიც გამოიყენება კომპონენტების ასაწევად და დასამონტაჟებლად, მიიყვანება ტურბინის საძირკველთან. შემდეგ მთავარი ამწე განთავსდება ტურბინის საძირკვლის ბალიშზე, სადაც მოხდება ტურბინის უკვე აწყობილი კომპონენტების აწევა და დამონტაჟება.

პროექტის ფარგლებში თითოეული სამონტაჟო მოედნისთვის გამოყოფილია საკმარისი სივრცე, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომპონენტების პირდაპირ დანიშნულების ადგილზე მიტანა. შესაბამისად, დროებითი სასაწყობო მოედნის მოწყობა აღარ არის საჭირო. მიუხედავად ამისა, ტოპოგრაფიულ რუკაზე ქვესადგურის მიმდებარედ აღნიშნულია შემოსაზღვრული ტერიტორია 2 ძირითადი ამწის განსათავსებლად. სანიტარიული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა-ნაგებობების მოწყობისა და ნარჩენების მართვის მიზნით, საჭიროა ტიპიური შემოსაზღვრული ტერიტორი(ებ)ის მოწყობა.

რუისის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობაზე დასაქმებული იქნება 200 ადამიანი. დასაქმებულთა შორის იქნება საპროექტო კომპანიის, EPC-ის კონტრაქტორისა და ქვეკონტრაქტორის პერსონალი, რომელთა დაახლოებით 60%-ს ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენს. პროექტის ფარგლებში დასაქმების შესახებ განცხადება გაკეთდება ადგილობრივად და უპირატესობა მიენიჭებათ იმ მოქალაქეებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ კვალიფიკაციის მოთხოვნებს.

ამ ეტაპზე, EPC-ის კონტრაქტორისა და ქვეკონტრაქტორის მიერ დასაქმებულ პირთა დროებითი განთავსების ზუსტი ადგილმდებარეობა არ არის ცნობილი. თუმცა, ვინაიდან მუშახელის დიდი ნაწილის დასაქმება იგეგმება ადგილობრივი თემიდან, მათი დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა არ იქნება საჭირო. ხოლო სხვა დანარჩენი ან უცხოელი მუშახელისთვის შემოთავაზებულია სპეციალური საცხოვრებელი ფართი (ბანაკი), რომელიც ნაჩვენებია რუკაზე 2-4. მუშახელის განთავსებისთვის ადგილზე მოეწყობა დროებითი ბანაკი ადგილობრივი კლიმატის

გათვალისწინებით. ბსგზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მუშათა საცხოვრებელში /ბანაკებში ყველა საჭირო შენობა-ნაგებობა მოეწყობა IFC/EBRD-ის „მუშათა განთავსება“: პროცესებისა და სტანდარტების (2009) შესაბამისად.

2.4 ექსპლუატაციის ეტაპი

ქარის ელექტროსადგურის ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება განხორციელდება სს „ვინდ ფაუერი“-ს მიერ.

რუისის ქარის ელექტროსადგურის ექსპლუატაციის მონიტორინგი და კონტროლი განხორციელდება დისტანციურად. ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საქმიანობა შემოიფარგლება შემდეგით:

- აღჭურვილობებისა და მოწყობილობების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა ენერგოგამომუშავების მიზნით;
- ტექნიკური მომსახურება (ელექტრომექანიკური აღჭურვილობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება) ენერგოგამომუშავებისა და სისტემის სასიცოცხლო ციკლის ოპტიმიზაციის მიზნით;
- ტურბინის დისტანციურად გათიშვა ქარის ჭარბი სიჩქარის დროს ან კონკრეტული ტურბინების ჩრდილის ციმციმის მოდელირებით განსაზღვრული რეჟიმისა და პირობების შესაბამისად;
- ფრინველებთან და ხელფრთიანებთან დაკავშირებული რისკების მონიტორინგი და მართვა, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და მართვის გეგმების შესაბამისად. მონიტორინგის გეგმების შემუშავების საჭიროება განსაზღვრულია ბსგზშ-ის ანგარიშში.

ამ ეტაპზე, ქარის ელექტროსადგურის ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურებისთვის გათვალისწინებულია დაახლოებით 10-15 თანამშრომელი.

როგორც მოსალოდნელია, აღნიშნული თანამშრომლებისთვის არ იქნება გამოყოფილი სპეციალური საცხოვრებელი ფართი და მათ თავად მოუწევთ საკუთარი საცხოვრებელი ფართის მოძიება და დაორგანიზება.

3 არსებული გარემოსდაცვითი და სოციალური პირობები და მოსალოდნელი ზემოქმედება

3.1 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორია და სენსიტიური რეცეპტორები

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სენსიტიური რეცეპტორების, მიწათმოსარგებლეებისა და საპროექტო ტერიტორიაზე არსებული პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში.

3.1.1 სოციალური და კულტურული მემკვიდრეობის (CH) რეცეპტორები

206 მგვტ სიმძლავრის რუისის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია იგეგმება საქართველოს შიდა ქართლის რეგიონში, კერძოდ, ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, თბილისიდან დასავლეთით 100 კმ-ში. საპროექტო ტერიტორიის ფართობი შეადგენს დაახლოებით 13 000 ჰა-ს, რომელიც მდებარეობს რუისი-ბებნისი-საღოლაშენი-ბრეთი-ძლევიჯვარი-საქაშეთი-არაშენდას სოფლებს შორის დაახლოებით 45 კმ-იან მონაკვეთზე.

პროექტის მიზნებისთვის საჭირო მიწის ნაკვეთები ეკუთვნის ქარელის მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებს - რუისი, ურბნისი, სასირეთი, ბრეთი, და, ასევე, გორის მუნიციპალიტეტის სოფლებს – საქაშეთი და შინდისი.

თუმცა, პოტენციური ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ზონები (ციმციმი, ხმაური, ტრანსპორტირება და ა.შ.) უფრო ფართოა და მოიცავს ტერიტორიებს, რომლებიც მიეკუთვნება შიდა ქართლის - გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების დასახლებულ პუნქტებს:

- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლები: რუისი, ურბნისი, საღოლაშენი, ძლევიჯვარი, ბებნისი, ბრეთი, ბრეთის მეურნეობა, დირბი, სასირეთი.

- გორის მუნიციპალიტეტის სოფლები: საქაშეთი, საქაშეთის დევნილთა დასახლება, ვარიანის მეურნეობა, არაშენდა, შინდისი.

ყველა ამ სოფლის მაცხოვრებლები მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარეებად არიან მიჩნეული.

უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე (ტურბინების და სხვა ძირითადი და დროებითი ნაგებობების ადგილმდებარეობა, მისასვლელი გზები და დამაკავშირებელი კაბელები), რამდენიმე ადგილის გარდა, არსად ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე რაიმე ობიექტის ნაშთი ან/და არტეფაქტი. თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში მოხსენიებული მნიშვნელოვანი არქეოლოგიურ-არქიტექტურული ძეგლებისა და ობიექტების სიმრავლის გამო, რომლებიც უხვად არის დაფიქსირებული და დიდწილად შესწავლილი პროექტის განსახილველ ტერიტორიაზე, ბსგზშ-ით მოითხოვება მიწის სამუშაოების დროს არქეოლოგის პროფესიული ზედამხედველობის უზრუნველყოფა და შემთხვევითი აღმოჩენის პროცედურის შემუშავება და გამოყენება. შემთხვევით აღმოჩენის პროცედურის ძირითადი სქემა მოცემულია ბსგზშ-ის ანგარიშში. შემთხვევით აღმოჩენის პროცედურა განსაზღვრავს მიწის სამუშაოების დროს არქეოლოგიურად ღირებული ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში სამუშაოების შეჩერების წესს და EPC-ის კონტრაქტორის, არქეოლოგებისა და სს „ვინდ ფაუერი“-ს მიერ განსახორციელებელ ქმედებებს.

3.1.2 სენსიტიური ეკოლოგიური რეცეპტორები და სპეციალური შეზღუდვის ზონები

რუისის ქარის ელექტროსადგური არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების ფარგლებში ან მის მიმდებარედ. ლიახვის ნაკრძალი წარმოადგენს უახლოეს დაცულ ტერიტორიას, რომელიც მდებარეობს საპროექტო ტერიტორიის საზღვრებიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 28 კმ-ზე მეტ მანძილზე, მდინარე პატარა ლიახვის ზემოთ, რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი მდებარეობს საპროექტო ტერიტორიის საზღვრებიდან 35 კმ-ში, ხოლო ნეძვის აღკვეთილი – საპროექტო ტერიტორიის საზღვრებიდან დასავლეთით დაახლოებით 29.5 კმ-ში; ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთით

დაახლოებით 36 კმ-ში, ხოლო ალგეთის ეროვნული პარკი მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 33 კმ-ში. ორივე დაცული ტერიტორია მდებარეობს თრიალეთის მთის ქედის უკან, მდინარე მტკვრის მეორე სანაპიროზე. თბილისის ეროვნული პარკის საზღვარი მდებარეობს მდინარე არაგვის გაღმა, სამშენებლო ტერიტორიის საზღვრებიდან აღმოსავლეთით დაახლოებით 62 კმ-ში.

დაცული ტერიტორიების ეროვნული სისტემის გარდა, საქართველოში არსებობს სპეციალური დაცვის ზონები (SPA). ესენია ზურმუხტის ქსელის უბნები და ფრინველთა მნიშვნელოვანი ტერიტორიები (IBAs). საპროექტო რეგიონის ფარგლებში წარმოდგენილია სამი ზურმუხტის ქსელის უბანი, ერთი სპეციალური დაცვის ზონა და ერთი ფრინველთა მნიშვნელოვანი ტერიტორია.

საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთ საზღვარსა და უახლოეს ზურმუხტის ქსელის კვერნაკის ქედის უბნის GE0000046 დასავლეთ საზღვარს შორის მინიმალური მანძილი დაახლოებით 14.7 კმ-ია. ორი ზურმუხტის ქსელის უბანი GE0000034 და GE0000049 მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთით 19 კმ-ში და დასავლეთით 21 კმ-ში, შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს ფრინველების მიგრაციის მნიშვნელოვან დერეფნებთან და მგრძნობიარე ეკოლოგიურ ჰაბიტატებთან ახლოს.

საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს აეროპორტებთან, რაიმე სპეციალური შეზღუდვის ზონებთან ან სანიტარული დაცვის ზონებთან ახლოს, რომლებიც, როგორც წესი, იქმნება წყალმომარაგების სათავე ნაგებობების, ზედაპირული წყლის ობიექტების და საკურორტო ზონების სიახლოვეს.

3.2 სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

მიწის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ზემოქმედება (ფიზიკური და ეკონომიკური განსახლება) და შემაწუხებელი ფაქტორები (ხმაური, ჩრდილის ციმციმი, ვიზუალური ზემოქმედება, მტვრის გავრცელება) მიჩნეულია, როგორც პროექტთან დაკავშირებული ძირითადი პოტენციური ზემოქმედება, ხოლო დასახლებული პუნქტები განიხილება, როგორც მთავარი სენსიტიური რეცეპტორები.

3.2.1 ფიზიკური და ეკონომიკური განსახლება

პროექტი ხორციელდება ტერიტორიაზე, რომელიც შედარებით მოშორებულია საცხოვრებელ ზონებს და შეეხება კერძო სასოფლო სამეურნეო მიწებს (ერთწლიანი კულტურის ნათესებს და ბაღებს) და სახელმწიფო მიწებს, მაგრამ არა საკარმიდამო მიწის ნაკვეთებს. პროექტი არ ითვალისწინებს მოსახლეობის გადასახლებას საცხოვრებელი ადგილიდან.

სოციალური ზემოქმედება ძირითადად გამოიხატება სასოფლო სამეურნეო მიწის კარგვასა და ეკონომიკური ხასიათის ზემოქმედებაში. კერძო მიწების ფართის უმეტესი ნაწილი (40 %-მდე) გამოიყენება მარცვლოვანი კულტურების მოსაყვანად, 30%-მდე - სხვადასხვა სახის ბოსტნეულის მოსაყვანად და დანარჩენი (30%-მდე) ხეხილის ბაღებს წარმოადგენს. სახელმწიფო მიწის ნაწილი - საძოვრებია.

ზემოქმედების მასშტაბი ჯერ არ არის ზუსტი, რადგან უნდა დაზუსტდეს ელექტროსადგურის საბოლოო კონფიგურაცია და ტურბინების ზუსტი ადგილმდებარეობა[1]. ტურბინების ამჟამინდელი კონფიგურაციის (46 ტურბინა) და მათთვის შერჩეული ტერიტორიების გათვალისწინებით, საჭირო იქნება დაახლოებით 165 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დაკავება, რომელთა უმეტესობა (152) კერძო ნაკვეთია. გარდა ამისა, საჭირო იქნება მიწის ნაკვეთები მისასვლელი გზების გაფართოებისა და დამაკავშირებელი კაბელების გაყვანისთვის. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული კერძო ნაკვეთების რაოდენობა შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს ტურბინების განლაგების მცირედი დაკორექტირების მეშვეობით (fine tunning). ამის გარდა, როდესაც ანძა განლაგებული არის რამდენიმე ნაკვეთზე, ანძის სულ რამდენიმე მეტრით გადაწევამ შეიძლება გამოიწვიოს ნაკვეთების რაოდენობის შემცირება (2 ან 3 ნაკვეთის ნაცვლად შესაძლებელია, რომ ტურბინის ანძა მხოლოდ ერთი ნაკვეთის ფარგლებში მოექცეს). ამგვარი მიკრო-დაკორექტივების სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს და დეტალური პროექტირების ეტაპზე, სავარაუდოდ, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაკვეთების და დაზარალებული ოჯახების რაოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლები იქნება.

ასევე, ხელს შეუწყობს ტურბინების საერთო რაოდენობის შემცირება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული კერძო ნაკვეთების რაოდენობის შემცირებას. მოსალოდნელია, რომ დეტალური პროექტირების ეტაპზე, საბოლოო კონფიგურაციაში დარჩება 46-ზე ნაკლები ტურბინა (სავარაუდოდ - 33-დან 36-მდე).



სურათი 3-1 მიწათსარგებლობის რუკა

[1] დეტალური დაპროექტება (დდ) დასრულდება 2024 წლის მაისში და ზუსტი ზემოქმედება შეფასდება დეტალური დაპროექტების საფუძველზე

წინასწარი შეფასებით, ქარის ტურბინების მოსაწყობად საჭირო იქნება სულ 165 მიწის ნაკვეთის შესყიდვა. აქედან 152 მიწის ნაკვეთი კერძო საკუთრებაშია (138 მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია, 8 მიწის ნაკვეთი ჯერ კიდევ რეგისტრირების პროცესშია, ხოლო დანარჩენი 6 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს კომერციულ ქონებას). ზოგიერთი შინამეურნეობა რამდენიმე მიწის ნაკვეთს ფლობს, ხოლო ზოგიერთი მიწის ნაკვეთი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული რამდენიმე პირის თანამფლობელობაშია. მთლიანობაში, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცევა 234 შინამეურნეობა და 3 კომპანია. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების უმეტესობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა (148). ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია ორი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, თუმცა ისინი გამოყენებულია მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთებიდან ორი მიეკუთვნება არასასოფლო-სამეურნეო კატეგორიას.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ არ არის მოქცეული საცხოვრებელი სახლები ან სხვა შენობა-ნაგებობები. შესაბამისად, პროექტით არ იგეგმება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობების ფიზიკური განსახლება. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ერთადერთი ნაგებობაა (გარდა ღობეებისა): ერთ მიწის ნაკვეთზე განთავსებული არასაცხოვრებელი 267 $მ^2$ ფართის დამხმარე შენობა და ჭა. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების უმეტესობა კერძო საკუთრებაშია (234 შინამეურნეობა). თუმცა, ზოგიერთი მიწის ნაკვეთი მსხვილი სასოფლო-სამეურნეო კომპანიების საკუთრებაშია, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც სპეციფიკურ დაინტერესებულ მხარეთა (ბიზნესის) კატეგორია. სს „ვინდ ფაუერი“ იღებს ვალდებულებას მიწის შესყიდვები განახორციელოს მხოლოდ მეგობრული მოლაპარაკებების გზით, რაც გულისხმობს მიწის მხოლოდ გაყიდვის მოსურნე პირებისგან შესყიდვას. ხოლო ის პირები, რომელთაც არ სურთ მიწის ნაკვეთის გაყიდვა, არ მოექცევიან პროექტის ზემოქმედების ქვეშ.

გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმით (ESAP) განსაზღვრული 1.12 ქმედების შესაბამისად, ESAP-ის 5.1 ქმედების განხორციელების მიზნით მობილიზებული იქნება კარგი რეპუტაციის მქონე სპეციალიზებული კონსულტანტი, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის მიზნებისთვის საჭირო მიწის ნაკვეთების ფარგლებში არსებულ მიწის მესაკუთრეთა/მიწის მომხმარებელთა მონაცემთა ბაზის გაფართოვებას, რის შემდგომაც მოხდება მიწის შესყიდვის და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) შემუშავება, რომელიც მოიცავს:

- პროექტის მუდმივი ან დროებითი მიზნებისთვის საჭირო მიწის ნაკვეთები;
- მიწის ნაკვეთი, რომლით სარგებლობა შეიზღუდება (და შესაბამისად, რომლის ღირებულებაც შემცირდება) ქარის ტურბინების ხმაურის (წყარო: IFC-ის „EHS სახელმძღვანელო მითითებები“) ან ჩრდილის ციმციმის (იხ. IFC ქარის ენერგიის სახელმძღვანელო 30 საათი/30 წუთი) ან საჰაერო გადამცემი ხაზის ზემოქმედების გამო;
- მიწათმფლობელები (საჯარო ან კერძო, ფიზიკური ან მორალური, კანონიერი ან ლეგალიზებული);
- მიწათმოსარგებლეები (ფორმალური და არაფორმალური, მიწათსარგებლობის სეზონური ცვლილებების გათვალისწინებით) და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთის ფარგლებში დასაქმებული პირები / მუშაკები;
- მიწათმფლობელების ან მიწათმოსარგებლეების მოწყვლადობა და საჭირო დახმარება;
- მიწათმფლობელობასთან ან მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული ცნობილი პრობლემები და საჩივრები;

- ფიქსირებული ინფრასტრუქტურა (სადრენაჟო ან სარწყავი არხები, შენობები, გზები...);
- შესყიდვის მეთოდი (იჯარა ან შეძენა) და სტატუსი;
- მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის კომპენსაცია: იდენტიფიცირებული მხარეები, გაანგარიშების საფუძველი, მოლაპარაკების შედეგი და გადახდის სტატუსი;
- ინტეგრაცია GIS-ში შესვლისთვის მზადყოფნის მითითებით (იხ. ESAP-ით განსაზღვრული ქმედება 1.12);
- საკუთრების სამართლებრივი სტატუსის ცვლილება (ლეგალიზაცია, მემკვიდრეობა...).

მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა (ინდივიდუალური ან კოლექტიური) მეგობრული შეთანხმების ყველა ასპექტის დეტალური აღრიცხვა და საარსებო წყაროს არანებაყოფლობითი დაკარგვის/დაზიანების კომპენსაცია მოხდება ESAP-ით განსაზღვრული 5.1 ქმედების ფარგლებში მომზადებული მონაცემთა ბაზის საფუძველზე. ასევე განხორციელდება მიწაზე შესვლის ავტორიზაციის, საჩივრების მართვის, მოწყვლადი დაინტერესებული მხარეების დახმარებისა და გენდერული საკითხების მართვის ზომების დეტალური მონიტორინგი.

3.2.2 საზოგადოების ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და დაცულობა

3.2.2.1 ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება

ხმაურის გავრცელების მოდელირება განხორციელდა მსოფლიოში მიღებული გერმანული CadnaA პროგრამული უზრუნველყოფით. მოდელირება განხორციელდა ორი სცენარისთვის (ტურბინის სიმაღლე 105 მ და 150 მ). აღსანიშნავია, რომ გაანგარიშებისას გათვალისწინებულია ხმაურის ყველა წყაროს ერთდროული მუშაობა.

მოდელირების შედეგების მიხედვით, ორ სცენარს შორის ხმაურის ზემოქმედება უმნიშვნელოდ განსხვავდება. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ, მთლიანობაში, უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან ქარის ტურბინების მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზებში წარმოქმნილი ხმაურის დონე არ აღემატება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დღისა და ღამის პერიოდში დასაშვები ხმაურის დონეებს.

საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში მოქცეულ სოფლებში მდებარე უახლოეს შენობებთან ქარის ტურბინის ექსპლუატაციით გამოწვეული ხმაურის დონე არ აღემატება 43 დბა-ს. ხმაურის აღნიშნული დონე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დღისა და ღამის პერიოდში დასაშვები ხმაურის დონეზე ნაკლებია; ქარის ტურბინების მშენებლობის ეტაპის ხმაურის მოდელირება განხორციელდა სოფ. საქაშეთში ორ ტურბინასთან ყველაზე ახლოს მდებარე საცხოვრებელი სახლებისთვის. ორი ტურბინის ერთდროულად მონტაჟის შემთხვევაში, აღნიშნულ საცხოვრებელ სახლებთან ხმაურის დონე არ აღემატება 40 დბა-ს. ხმაურის აღნიშნული დონე საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო რეგულაციებით (კერძოდ, IFC-ის სტანდარტებით) დადგენილ დღისა და ღამის პერიოდში დასაშვები ხმაურის დონეზე ნაკლებია.

ხმაურის მოდელირება ასევე განხორციელდა საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე კომერციული ზონისთვის. როგორც მოდელირების შედეგებმა აჩვენა, ქარის ელექტროსადგურის ექსპლუატაციის შედეგად (ორივე სცენარის მიხედვით), კომერციულ ზონაში ხმაურის დონე არ აღემატება 55 დბა-ს. კომერციული ზონის იმ მონაკვეთებში, რომლებიც ყველაზე ახლოს არიან სადგურების განთავსების არეალთან, ხმაურის დონემ შესაძლოა მიაღწიოს 52 დბა-ს. ყველა სხვა შემთხვევაში ხმაურის დონე

გაცილებით დაბალია (დაახლოებით 40-45 დბა.); ვინაიდან კომერციული/სამრეწველო დანიშნულების შენობებისთვის ხმაურის დასაშვები ნორმა ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო რეგულაციების მიხედვით შეადგენს 60 დბა-ს, მოდელირების შედეგებზე დაყრდნობით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ხმაურის დასაშვები ნორმის გადამეტება მოსალოდნელი არ არის.



სურათი 3-2 ხმაურის მოდელირების სქემების ნიმუში: ხმაურის გავრცელება სოფ. რუისის მიდამოებში - ტურბინის სიმაღლე შეადგენს 150 მ-ს.

3.2.2.2 ჩრდილის ციმციმით და ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება

როდესაც მზე ქარის ტურბინის უკან ექცევა და ჩრდილს აყენებს, როტორის ფრთების ბრუნვის დროს წარმოიქმნება ე.წ. ჩრდილის ციმციმის ეფექტი. ჩრდილის ციმციმის ეფექტის სიდიდე იცვლება როგორც სივრცის, ისე დროის ფარგლებში და დამოკიდებულია გარემო პირობებზე, როგორიცაა მზის პოზიცია და სიმაღლე, ქარის სიჩქარე და მიმართულება, ღრუბლიანობა და სენსიტიურ რეცეპტორთან ტურბინის სიახლოვე. ჩრდილის ციმციმი პრობლემას წარმოადგენს, როდესაც პოტენციურად სენსიტიური რეცეპტორები (მაგ.: საცხოვრებელი სახლები, სამუშაო ადგილები, სასწავლო და/ან ჯანდაცვის დაწესებულებები) ახლოს არის განლაგებული ტურბინასთან.

ტურბინების საბოლოო კონფიგურაცია ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული. ტურბინების რაოდენობა, ზომები, ზუსტი კოორდინატები და ორიენტაცია დაზუსტდება დეტალური პროექტირების ეტაპზე. ყველა ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია ჩრდილის ციმციმის ეფექტის ზუსტი მოდელირებისთვის. შესაბამისად, ამ ეტაპზე, ჩრდილის ციმციმის ეფექტის შეფასება განხორციელდა ყველაზე უარესი სცენარის გათვალისწინებით. წინასწარი ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, საცხოვრებელი სახლების მნიშვნელოვანი რაოდენობა შეიძლება გარკვეულწილად მოექცეს ჩრდილის ციმციმით გამოწვეული ზემოქმედების ქვეშ.

სს „ვინდ ფაუერი“ იღებს ვალდებულებას, რომ დეტალური პროექტირების ეტაპზე ჩატარდება ჩრდილის ციმციმის ყოვლისმომცველი მოდელირება რეალურ ვითარებაში მოსალოდნელი ზემოქმედების აღწერის მიზნით (ტურბინების საბოლოო კონფიგურაცია და ყველა პარამეტრის ზუსტი მნიშვნელობები, რომლებიც გავლენას ახდენენ ჩრდილის ციმციმის დონეზე). ყოვლისმომცველი მოდელირების შედეგები გამოყენებული იქნება ქვემოთ წარმოდგენილი ალტერნატივებიდან ყველაზე ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებების დასადგენად. მოდელირების შედეგების საფუძველზე შემუშავდება ჩრდილის ციმციმის შემარბილებელი ღონისძიებების სპეციალური გეგმა.

ქვემოთ მოცემულია ჩრდილის ციმციმის ზემოქმედების შესამცირებლად შემოთავაზებული სტრატეგია და შემარბილებელი ღონისძიებები.

1 **ჩრდილის ციმციმის ყველაზე მაღალი ზემოქმედების მქონე ტურბინების გაუქმება.** ტურბინების საბოლოო რაოდენობა და კონფიგურაცია ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოოდ გადაწყდა ქარის ტურბინა-გენერატორების რაოდენობის შემცირება, მაშინ შესაძლოა ამოღებულ იქნას ის ტურბინა-გენერატორები, რომელთა ჩრდილის ციმციმით გამოწვეული ზემოქმედება ყველაზე მაღალია (თითოეული ტურბინა-გენერატორის მიერ წარმოქმნილი ციმციმის საერთო რაოდენობის გაანგარიშების შედეგები წარმოდგენილია დანართში). ჩრდილის ციმციმით გამოწვეული ზემოქმედება არ არის ერთადერთი ან უმთავრესი ფაქტორი ტურბინების საბოლოო ადგილმდებარეობის შერჩევის პროცესში: მთავარი ფაქტორებია ქარის პირობები და ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობა. თუმცა, ასევე გათვალისწინებული იქნება ალტერნატიულ შემარბილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯები (მაგ.: ტურბინების დროებითი გათიშვა). **სს „ვინდ ფაუერი“-ს მიერ ეს ალტერნატიული შემარბილებელი ღონისძიება გათვალისწინებული იქნება დეტალური პროექტირების და საბოლოოდ შერჩეული მოდელების შესყიდვის ეტაპზე.**

IFC-ის გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის სახელმძღვანელო მითითებები განიხილება როგორც კრიტერიუმი: თუ შეუძლებელია ქარის ელექტროსადგურის / ტურბინების იმგვარად განთავსება, რომ თავიდან იქნას აცილებული მიმდებარე რეცეპტორებზე ჩრდილის ციმციმით გამოწვეული ზემოქმედება, რეკომენდებულია, რომ სენსიტიურ რეცეპტორებზე ჩრდილის ციმციმით მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობამ არ გადააჭარბოს 30 საათს წელიწადში და 30 წუთს დღეში, ყველაზე უარესი სცენარის მიხედვით ყველაზე მაღალი ზემოქმედების მქონე დღის განმავლობაში.

2 **როტორის დიამეტრი.** ტურბინების საბოლოო მოდელების შერჩევისას, იმ პოზიციებზე სადაც ყველაზე მაღალია ჩრდილის ციმციმით გამოწვეული ზემოქმედება, შეძლებისდაგვარად უნდა შეირჩეს ნაკლები დიამეტრის მქონე როტორიანი ტურბინები. ეს არ არის სავალდებულო მოთხოვნა, თუმცა გასათვალისწინებელია დეტალური პროექტირების ეტაპზე.

3 **ტურბინების დროებით გათიშვა.** სს „ვინდ ფაუერი“ იღებს ვალდებულებას, შეიმუშაოს ტურბინების გათიშვის გრაფიკი ჩრდილის ციმციმის მისაღები ზემოქმედების დონის მისაღწევად. გრაფიკის შემუშავებისთვის ზუსტი მოდელირება ამ ეტაპზე შეუძლებელია, რადგან ტურბინების საბოლოო ზუსტი ადგილმდებარეობა, მათი რაოდენობა და ფრთების ბრუნვის მიმართულება, ასევე ტურბინების კონკრეტული მოდელები ჯერ არ არის განსაზღვრული. საბოლოო გრაფიკი შემუშავდება ექსპლუატაციის პირველი წლის განმავლობაში, ფაქტობრივი მონიტორინგის მონაცემების საფუძველზე. როგორც ვარიანტი, კომპანია გეგმავს გამოიყენოს "ჩრდილის ციმციმისგან დაცვის სისტემა". საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მოხდება დეტალური პროექტირების ეტაპზე მიმწოდებლებთან გამართული კონსულტაციების დროს. დეტალური პროექტირების ეტაპზე, როდესაც საბოლოოდ დაზუსტდება ყველა ტექნიკური პარამეტრი (ადგილმდებარეობები, მიმართულებები; ზომები და ა.შ.), ჩატარდება ჩრდილის ციმციმის დამატებითი მოდელირება, რომლის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდება „გათიშვის გრაფიკის“ და ავტომატურ ან მექანიკურ რეჟიმში რეგულირებადი გათიშვის სქემების წინასწარი ვერსიები. მოდელირების შედეგები გათვალისწინებული იქნება ტურბინებისა და ავტომატური გათიშვის სისტემების შესყიდვისას. გარდა ამისა, მონიტორინგის ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე შემუშავდება „გათიშვის“ გრაფიკის საბოლოო ვერსია.

4 **ეკრანირება გამწვანების საშუალებით.** დეტალური პროექტირების ეტაპზე, ყველა ტურბინის ადგილმდებარეობისა და მიმართულების, ასევე კონკრეტული მოდელების განსაზღვრის შემდეგ, სს „ვინდ ფაუერი“ ჩაატარებს ჩრდილის ციმციმის დამატებით მოდელირებას და განსაზღვრავს იმ ლოკაციებს, სადაც „შტორების“ მოწყობამ ან მაღალი ხეების დარგვამ შეიძლება ეფექტურად დაიცვას რეცეპტორები ჩრდილის ციმციმის ზემოქმედებისგან. ეკრანების მოწყობის მიზანშეწონილობა დამოკიდებულია საცხოვრებელი სახლებისა და სხვა რეცეპტორების რაოდენობაზე (%).

5 **კომპენსაციები.** ტურბინების გათიშვის გრაფიკის პარალელურად, სს „ვინდ ფაუერი“ შეიმუშავებს კომპენსაციის პაკეტებს ციმციმის ნარჩენი ზემოქმედების კომპენსირების მიზნით. ტურბინების გათიშვის გრაფიკი მნიშვნელოვნად შეამცირებს ჩრდილის ციმციმით გამოწვეულ ძლიერ ზემოქმედებას, თუმცა, დაბალი და საშუალო სიდიდის გარკვეული ნარჩენი ზემოქმედება შეიძლება კვლავ მოსალოდნელი იყოს. მონიტორინგის მონაცემების, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სოფლების მაცხოვრებლებთან მუდმივი

კონსულტაციებისა და საჩივრების განხილვის მექანიზმით შეგროვებული საჩივრების საფუძველზე დადგინდება კომპენსაციას დაქვემდებარებული მაცხოვრებლები. კომპენსაციის ოდენობა დადგინდება დაზარალებულ მოსახლეობასთან კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების საფუძველზე.

შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვისას პრიორიტეტი მიენიჭება ფაქტობრივი ზემოქმედების თავიდან აცილებისა და მინიმუმამდე შემცირების ალტერნატიულ ვარიანტებს.

ქარის ელექტროსადგურის პროექტი არ არის დაკავშირებული ელექტრომაგნიტური ველების გავრცელების მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან და მასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის საკითხებთან. ქარის ტურბინებმა შეიძლება გამოიწვიოს რადიოსიხშირული დაბრკოლებები. ასეთი ზემოქმედების მექანიზმებია დიფრაქცია, არეკვლა და გაფანტვა.

ქარის ტურბინებმა შეიძლება ხელი შეუშალოს მიმდებარე ფიჭური ან სატელევიზიო ანძების მუშაობას. ამ შემთხვევაში, მაგთის და ბილაინის სატელეკომუნიკაციო ანძებიდან 500 მ-ია დაშორება და შესაბამისად მათზე ზემოქმედება მინიმუმამდეა დაყვანილი. ბსგზშ-ის ანგარიშში განხილული პირველი ალტერნატივის შემთხვევაში, ტურბინები განლაგებულია აღნიშნულ ანძებთან ახლოს და მათი ფუნქციონირება შეიძლება საფრთხის ქვეშ დადგეს. ალტერნატივა 1 გაუქმდა ამ და სხვა ფაქტორების გამო. როგორც უკვე აღინიშნა, ამ ზემოქმედების რისკი მინიმალურია სასურველი ალტერნატიული ვარიანტის შემთხვევაში.

33კვ შიდა ელექტროგადამცემი ხაზების ელექტრომაგნიტური გამოსხივება უგულებელსაყოფად მცირეა (დაცვის ზონა განისაზღვრება 1მ დაშორებით განაპირა სადენებიდან) და, გარდა ამისა, ყველა შემაერთებელი ხაზი შორს არის დასახლებული ტერიტორიებიდან.

3.2.3 ლანდშაფტი და ვიზუალური ზემოქმედება

სამშენებლო სამუშაოების დროს ადგილი ექნება ლანდშაფტის გარკვეულ ვიზუალურ ცვლილებას სამშენებლო მოედნების მოწყობასთან დაკავშირებით, მომუშავე ტექნიკის და დასაწყობებული სამშენებლო მასალების გამო. ამ ზემოქმედებას ყველა შემთხვევაში ექნება ლოკალური და დროებითი ხასიათი. მუდმივი ზემოქმედების ქვეშ დარჩება მხოლოდ პროექტის ფარგლებში აშენებული ობიექტები. ვიზუალური ზემოქმედების დახასიათებისას პირველ რიგში გასათვალისწინებელია საპროექტო ტერიტორიების განლაგება ზემოქმედების რეცეპტორებთან მიმართებაში, კერძოდ ვიზუალური თვალთახედვის არეალში ექცევა თუ არა სახეცვლილი ლანდშაფტური უბნები.

ქარის ტურბინები შესამჩნევი იქნება როგორც უახლოესი დასახლებული პუნქტებიდან (სოფ. რუისი, არადეთი, წვერი, ვარიანის დასახლება და ა.შ.), ასევე შედარებით შორი მანძილიდანაც - ძირითადად საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე საავტომობილო მაგისტრალის რუისის უბნებზე (გორის გვირაბიდან - აგარამდე მონაკვეთი). რელიეფის თავისებურებებიდან გამომდინარე - ტურბინების ანძების უმეტესი ნაწილი საერთოდ არ იქნება ხილული საავტომობილო ტრასიდან. ტრასის მხოლოდ რუისის მონაკვეთებზე იქნება ხილული ტურბინების ნაწილი და არსებითად, ეს ხედი არსებითად არ განსხვავდება გორის ქეს-ის ხედისაგან, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება საპროექტო ტერიტორიას. პრაქტიკულად, მოხდება გორის ქარის ტურბინებიანი ლანდშაფტის გადასვლა ახალი ქეს-ის ტურბინებიან ლანდშაფტში. გორის ქეს-ს ტურბინებიანი ლანდშაფტი მისაჩვევი გახდა საქართველოს მოსახლეობისათვის და არ იწვევს უარყოფით ასოციაციებს.

(მოქმედი კომპანიისგან, ადგილობრივი ხელისუფლებისგან ან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან საჩივრების არ არის შემოსული).

მშენებლობის ეტაპზე ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების შერბილება მოხდება შემდეგი სახის ღონისძიებების გატარებით:

- დროებითი კონსტრუქციების, მასალების და ნარჩენების განთავსებისთვის შერჩეული იქნება შეუმჩნეველი ადგილები;
- როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე დაცული იქნება სანიტარულ-ეკოლოგიური პირობები;
- სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ ჩატარდება სარეკულტივაციო სამუშაოები.

ექსპლუატაციის ფაზაზე ქარის ტურბინების არსებობასთან დაკავშირებული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გატარება შესაძლებელი არ არის. ნარჩენი ვიზუალური ზემოქმედება არ არის მნიშვნელოვანი და როგორც აჩვენებს პრაქტიკა (ქეს გორის მონაკვეთზე) - არ იწვევს მოსახლეობის და საავტომობილო ტრასაზე მოძრავი მოსახლეობის და ტურისტების ნეგატიურ რეაქციას.

3.2.4 სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სხვა სახეები

რუისის ქეს-ის, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია დადებითი წვლილი, როგორც რაიონის ადგილობრივ ეკონომიკაში, ასევე მთლიანად ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებასა და ელექტროენერგიის მიწოდების მდგრადობის თვალსაზრისით. ადგილობრივ თემებზე და მთლიანად მუნიციპალიტეტზე ზემოქმედება გამოიხატება როგორც ქონების გადასახადის გადახდაში, ასევე ადგილობრივი ნედლეულის და მომსახურების ქვეყანაში გაიზრდება ენერგოუსაფრთხოება და ელექტროენერგიის მიწოდების საიმედოობა, რადგან რუისის ჰიდროელექტროსადგური ელექტროენერგიის ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს იმ პერიოდში, როდესაც ენერგოსისტემა განიცდის დეფიციტს. შესაბამისად, ეს ელექტროსადგური მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სეზონური დეფიციტის აღმოფხვრას და იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას.

პროექტი დადებით ზემოქმედებას იქონიებს ადგილობრივი მაცხოვრებლების ყოფა-ცხოვრებაზე. რუისის ქეს-ის მშენებლობის მანძილზე პირდაპირი წესით დასაქმდება 200 ადამიანი, საიდანაც 60% იქნება ადგილობრივი მოსახლე და მათი საშუალო ხელფასი იქნება არანაკლებ საქართველოში არსებული საშუალო ხელფასის ოდენობისა. კომპანიას აქვს მზაობა აიღოს ვალდებულება, მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირობებში, უპირატესი წესით დაასაქმოს ადგილობრივი მოსახლეობა უშუალოდ მოსაზღვრე სოფლებიდან.

სადგურის ოპერირების მანძილზე დასაქმებული იქნება 10-15 ადამიანი, მოცემული რაოდენობა არ ითვალისწინებს ირიბად დასაქმებულთა რაოდენობას ქსელთან მიერთებისას ქვესადგურის და/ან გადამცემი ხაზის ოპერირებისთვის. დასაქმებულთა 70% იქნება კვალიფიციური პერსონალი, ინჟინრის, ელექტრო ინჟინრის, მექანიკოსის, ელექტრო მექანიკოსის, სამოქალაქო ინჟინრის, მძიმე ტექნიკის ოპერატორის და სხვა მასთან დაკავშირებული პროფესიების განხრით.

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე ზემოქმედება მინიმალურია და შემოიფარგლება ზემოქმედებით ადგილობრივი მნიშვნელობის, სოფლების

შემაერთებელ გზებზე, რომლებიც უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე მისასვლელად და სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად იქნება გამოყენებული. მშენებლობის ეტაპზე დროის გარკვეულ მონაკვეთში შესაძლოა მოხდეს გზაზე სატრანსპორტო ნაკადის ზრდა. თუმცა საჭიროა სამშენებლო სამუშაოების ისე დაგეგმვა რომ მინიმუმამდე დავიდეს მსგავსი ხასიათის ზემოქმედებები, კერძოდ:

- მოსახლეობისთვის მიწოდებული იქნება ინფორმაცია სამუშაოების წარმოების დროის და პერიოდის შესახებ;
- გზის ყველა დაზიანებული უბანი აღდგება მაქსიმალურად მოკლე ვადებში, რათა ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობისთვის;
- საჭიროების შემთხვევაში საავტომობილო საშუალებების მოძრაობას გააკონტროლებს სპეციალურად გამოყოფილი პერსონალი (მედროშე);
- დაფიქსირდება საჩივრები, მოხდება მათი აღრიცხვა და სათანადო რეაგირება.

რაც შეეხება ექსპლუატაციის ფაზას: ამ ეტაპზე ზემოქმედება იქნება მინიმალური და დაკავშირებული იქნება უშუალოდ ტურბინების და ქვესადგურის პროფილაქტიკურ სამუშაოებთან.

სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული შემაწუხებელი ფაქტორები (ხმაური, მტვრის წარმოქმნა, გამონაბოლქვი და ა.შ.) უმნიშვნელო და დროებითია. მონიტორინგის საშუალებითა და კარგი სამშენებლო პრაქტიკის დაცვით მარტივად შესაძლებელია ზემოქმედების მისაღებ დონემდე შემცირება.

3.3 ბუნებრივ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

3.3.1 ატმოსფერული ჰაერის ხარისხი

ქეს-ის დაგეგმილი ობიექტების და სამშენებლო მოედნების უმეტესობა საკმაოდ დაშორებული არის საცხოვრებელი სახლებიდან. ქვესადგურის ტერიტორია და სამშენებლო ბანაკისთვის შერჩეული უბანი 1.5კმ-ზე მეტი მანძილით არის დაშორებული უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან (სოფ. რუისი). რაც შეეხება ტურბინებს, მათი დიდი უმრავლესობა (29 ტურბინა) დაცილებული იქნება უახლოესი საცხოვრებელი სახელებიდან 700მ-ზე მეტი მანძილით. 46 ტურბინის უბნიდან 15 არის დაშორებული უახლოესი სახლებიდან 500მ-ზე მეტი, მაგრამ 700მ-ზე ნაკლები მანძილით. მხოლოდ 2 ტურბინა (#25, 43) არიან განლაგებული 500მ-ზე ნაკლები დაშორებით. ყველაზე მოკლე მანძილი არის დაფიქსირებული ტურბინა #25 -სათვის და შეადგენს 408 მ-ს სოფელ დირბის შენობიდან.

